KA030238691527217

№ 02-19057 **31 / აგვისტო / 2017 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს,
ბატონ დავით სერგეენკოს
სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო
რეგულირების სააგენტოს უფროსის,
გია თვალავაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ 2017 წელს განახორციელა ,,თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში'' (იურიდიული და ფაქტიური მის: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ.21, ტელეფონი: 0322540697) ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების (,,რეფერალური მომსახურების'' სახელმწიფო პროგრამის (კომპონენტი: სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევევის დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარება (ინდივიდუალური)), ,,იმუნიზაციის'' სახელმწიფო პროგრამის (კომპონენტი: 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ანტირაბიული სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა), ,,იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის'' სახელმწიფო პროგრამის და ,,საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის'' სახელმწიფო პროგრამა) შერჩევითი რევიზია.

სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესრულებული სამუშაოს შერჩევითი რევიზიის შედეგად გამოვლინდა დარღვევები (ძირითადი დიაგნოზი არ დასტურდება პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული მონაცემებით; დარღვეულია სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი და კანონმდებლობის მოთხოვნები; პაციენტებს გადახდილი აქვთ თანხა იმ მომსახურებაში, რომელიც სრულად არის დაფარული სახელმწიფო პროგრამით;მკურნალობის პროცესში ჩართული ექიმი არ ფლობს შესაბამის სახელმწიფო სერტიფიკატს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელებისათვის; რიგ შემთხვევაში მომსახურება გაწეულია იმ დიაგნოზით, რომელიც პროგრამით არ არის გათვალისწინებული; ზოგიერთ შემთხვევაში, ვერ იქნა წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაცია), რომელთა გამო **"თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკას" განესაზღვრა ფინანსური სანქციები, რამაც შეადგინა 79632,16 ლარი** (მ. შ. უკან დასაბრუნებელია 48821,80 ლარი, დამატებითი ფინანსური ჯარიმა - 30810,36 ლარი). ამასთან, 65 შემთხვევაში გამოვლინდა დარღვევები, რომლებზეც რეაგირება განეკუთვნება განმახორციელებლის კომპეტენციას.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გადაეგზავნოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს:

1.2012 წლის 1 ნოემბრიდან 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდში, სახელმწიფო პროგრამების (,,რეფერალური მომსახურების'' სახელმწიფო პროგრამის (კომპონენტი: სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევევის დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარება (ინდივიდუალური)) და ,,იმუნიზაციის'' სახელმწიფო პროგრამის (კომპონენტი: 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ანტირაბიული სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა) ფარგლებში) რევიზიის შედეგები;

2. „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების მე-2 თავის მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, განმახორციელებლის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები რეაგირებისათვის;

3. 2015 წლის 1 ივლისიდან 2017 წლის 1 აპრილამდე პერიოდის შესწავლის შედეგები (,,რეფერალური მომსახურების'' სახელმწიფო პროგრამის (კომპონენტი: სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევევის დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარება (ინდივიდუალური)) და ,,იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის'' სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში) ინფორმაციის სახით;

4. „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს

მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების მე-2 თავის მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, განმახორციელებლის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები რეაგირებისათვის და შესწავლის შედეგები, ამავე დადგენილების მე-19[1] მუხლის შესაბამისად, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში.

წარმოგიდგენთ შესწავლის შედეგებს ინფორმაციის სახით (16 ფურცელი).

პატივისცემით,

სსიპ – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

თეიმურაზ პირველაშვილი